

რედაქცია


მედიკინის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეზტოვის სახ-
ლებში.

ხელის-მომწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში.
ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ
редакціи газетъ „Дрѣво“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.



გამოდის ყოველკვირით, მოთხზაბათობით და პარასკეობით

ბანსხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სტამბულს და ყველა
ცხოველს ენებზე.

ბანსხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთვრულით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მომწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

გამოცემად 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოცემა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს
წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდან „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლო-
ვებულ მოიაზრებოდა და შრომას მიიღებს ორი ჩიენი ნიჭიერი მწერალი-
პუბლიცისტი: პეტე წიგნითელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედს
გვაქვს, რომ, რამდენადაც რედაქციაგან დამოკიდებული და დამოუკი-
დებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარ-
გებლო და საჭირო გახდამთ ჩიენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მომწერა

მიიღება თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში (მე-
დიკინის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეზტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მედიკინის-
ლის და ახ. სტამბაში (ბანაღის ქუჩაზე, ამიტუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთათვის თანაბრად მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გა-
მოგზავნონ: ВЪ Типографіи, въ редакціи газетъ „Дрѣво“.

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მომწერა შემდეგ პირებთან
შეიძლება:

მუთაისში — სვ. მესხთან (სილ.), ფოთში — თ. ანტ. ლ. ზ. ნიკ. ში-
ძესთან და მო. ბაბლოვთან, ახალ სენაქს — ნიკ. დგებუაძესთან ზუგდიდს —
თ. ტარ. ალიქ. დიდიანთან, მუშრბეთს — პეტ. ჯაყელთან, ყვირი-
ლაში — მ. დავ. დამბაშიძესთან, გორს — ალლო თეთაევთან, სიღნაღს —
ნოესტ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ფასი — გაზეთით და გაუგზავნელად	მან. კაპ.
წელიწადში	8
ნახევარ წელიწადში	4 და 50
საძის თვისა	2 და 50
ერთი თვისა	1 —

ამავე საპირისპირო ვრაცხთ გამოგაცხადოთ, რომ გაზეთი ნისი-
ათ არამის არ გამოგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის
პასუხის-გებას თვითონ „დროების“ ავანტაჟი იპისრებენ.

მანკეთ ჩიენი მოაქვალ ხელის-მომწერებს, რომ თანაბრად მოთხო-
ვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამსოთ იმათი ადრესების დაბეჭ-
დვა დაგვიანდება; ეითნათ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვა-
რი და საცხოვრებელი ადგილი იყოს გარკვევით დაწერილი და ყოველ-
თვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეიტყონ ან რედაქციას.
გამოცემელი სტ. მედიკინისში, რედაქტორი ს. მესხი.

ბანსხადება

სამ.ზრო. მ.მეგობრთან მყოფი ქა-
ლების პოპიტეტი დაჭრილთა და
აუთმყოფ მხედართ საზოგადოებისა,
მისის იმპერატორებისთვის უმა-
ღლესობის დიდი ძნიაგინის
მღვა თეოდორეს ასულის —
ამ საზოგადოების საპატიო წევრის —
ნებართვით, შეუდგება, საზოგადოების
წესდების მე-87 მუხლის ძალით, მო-
ძრავი ღაზარეთებისათვის ღოშპიტ-
ლის ნივთების დამზადებასა და ამის
გამო მიმართავს ყველას, ვისაც კი
სურვილი აქვს, რომ კომიტეტის
სკოლაში რამე ნივთი ან ფული შე-
სწიროს.

საგნები, რომელნიც საჭირონი
არიან სამხედრო ღოშპიტებისათვის
და რომელიც სამხედრო სანიტარულ
ატრიადისათვის აუცილებელ საჭი-
როებას შეადგენენ:

ზისა და თივის ტომრები (ბარდ-
ნები) 3 არშინი სიგრძე (6 არშინი
პარუსინა.)

ჩარსავები, თითო 3 არშინი სიგრძე.
ბალიშის-პირები 1 არშინი და მე-
ოთხედი ოთხ კუთხი.

უფრო მდარე ბალიშის-პირები
ტიკის მატერიისა, იმავე სიგანისა.

შლის საბნები
შლანელის ხალათები
პერანგები
6 ფხვები
პარსახოცები, 2 არშინი სიგრძე
(11-12 კაპ. არშინი ტილო)
ცხვირ-სახოცები

ნაქსოვი წინდები ანუ ტილოს
თ ხსხვევები
სარეცხის საპონი
ღრუბლები

ბანდაჟები 3-4 თითის სიფართო
და 5-15 არშინი სიგრძე, ფლანელის,
მარლისა და ტილოს, შეუყვარავი.

პორპი სუფთა, წმინდა ტილოსი
ძასანკები სხვა და სხვა მატერიე-
ბისა გადაუყვცილი (ოთხ კუთხი, არ-
შინი და ნახევარი).

სალამური ქუდები ძაფისა ანუ
წმინდა ზორნალისაგან ნაქსოვი (თა-
ვის დაჭრილობისათვის).

მუცლის ბალიშები ფლანელისა.

დღის მადლობითა მიიღება აგ-
რეთვე: მაუდი, ტილო, ფლანელის
შეუყვარავი ნაჭრები, აგრეთვე დასა-
კაცი კრავატები, სხვა და სხვა ჭურ-
ჭელი მადნეული, შენახული დაჩი-
ხული საქმელები, ჩაი, შაქარი და სხ.

პირნი, რომელნიც კომიტეტის
კაცთ-მოყვარეობის მიზანს თანაუგრ-
ძნობენ, თანაბრად შესაწირავის გამოგ-
ზავნას იწებებენ შემდეგის ადრესით:
საზოგადოების სამ.ზრო. მ.მეგობრის
ხაზინადარს ლენერალ-მაიორს ჩერ-
ბერგს (казначей Окружнаго Управ-
ления Общества Генерал-Майо-
ру Риберу).

(3-1)

საქართველო

დღიური

მოკლი მხრიდან და განსაკუთრე-
ბით თფილისის უეზდის თათრების
მოსამზღვრე სოფლებიდან მოგვდის
ჩვენ ამ უქანასკნელ დროს ძალიან

ბოლში ჩამოვიდის ხონტქართან; ისე
ჩქარა ივლის გზაზედ, რომ სამი ცხენი
გახეთქის. მთავრის ძამ გარდაცის
ყოველივე მთავრის ბძანება; მაგრამ
ოსმალის ხემწე მ ყურიც არ უგ-
დის-ყე და თითონაც იქ დაიჭარის-ყე.
მაშინ შავ ქალაქს პალიოზი, რომ
მილოც სტამბოლში არის-ყე, იმ
პალიოზს - ყე დაიბარებს მთავრის
ძამ და ღბძანებს: „ხომ ხელამ-
ყე, ის ურჯულიო ყოფილა-ყე,
რომ ჩიენი მთავრის სიტყვა არ გა-
იგონის და მეც არ მიშეგბს-ყეო!
შენ წადი ჩვენს ღდს მთავართან
და ყველაყა უანბე და მოახსე-
ნე-ყეო, და ღდის გულისათვის მე
მანიც დამიხსნას-ყეო.“ პალიოზი მა-
შინვე წამოვიდის, მოვიდის მთავარ-
სთან და მოახსენის ყველაყაი რომ-
გორც გიამბიეთ-ყე. მთავარი, რა
შეიტყვის ეს ანბავი, ძალიან გაბრაზ-
დის და მაშინვე ომი გამოუცხადის
ოსმალს ხემწეფს, რომ ომით გა-
მოიხსნას-ყე თანისი ძამ და ყვე-
ლაყა ქალზედ ათასი ცხენი გა-
დახდევინოს და ქალაქიც ააშენე-
ბინოს-ყე... ანა, ჩემო ძამია, საქმე!

ფელტონი

ხალხის პაზრი მოიანოგაზად

(თრიალეთის მთაზედ, ჰესენ-შანის
მინდორზედ შეკრებილი არიან მწევრები ერ-
თის მეზატონის კარავის წინ და უთვლიან
სამაღაზის ფულს. ცოტა მოშორებით კარ-
გიდან სხედან წყაროს პირზედ სიმრგვლივ
ჩამდგენი თუში, ქიხიყლი, თაბრები, ფშა-
ვლები და ჯავახი, რომელნიც მუსაფოხენ:)

თათარი. მე გუჟინ მოვიდა ბურ-
ბრიდან, იქ ბევრი ყოშენ იტულებს,
თოფ-თოფხანა, ათტი ყოშენ, ჩერ-
ქებ-ყაზახ, სალდათ იზეთია, იზეთია,
როგორც შენი ზღვარი. ზალიან ბევ-
რია. მა დილლარ სულ შარსი წავაო...


უშავი. ლაშქარი დიდი წაივდის,
ჩვენც გვიჯობს გაფთხილები. ხ-
რანაული გვიქადა, ომი ასტუდების
ძრივლი.

თუში. ბანა თუ ლაშქრობა იქ-
ნება? მაშ ჩიენ რატომ არა ვიცით-
რა? რომ ქაშვილი ძიკო გვეტყო-
და, ლაშქრობა რომ ყოფილიყო?

ძიზიყელი. ჰი, კაცო! მ.შ. შენ
არა იცი-რა? სადა ყოფიხარ აქნა-
ბამდე ყე, რომ არა გ გიგია-რა-ყე,
ძიშო!

თუში. რომ ვიცოდე, ხომ აღარ
გკითხავდი.

ძიზიყელი. აი! რაზედ ატეხლა
ხენატქარი, ძიშო: ამ გაზ ფხულზედ
ნუკრანში ვიყავი-ყე ნასიძ ნასიძეს-
თან-ყე. იქ მოვიდის პადეშოვის-
შეილი და იმას გაუდოდა, რომ ქა-
ლადებში იწერებია-ყეო, მითომ
ერთი ქალაქი შეგმთეზია-ყეო, სა-
ხელი კი აღარ მახსოვს - ყე; იმ
ქალაქში ქალების სასწილელები ყო-
ფილა-ყეო, სადაც ხუთი ი ქალი სწ-
ვილობდა-ყეო. მითომ ოსმალის ხემ-
წიფს შეუთვლია იმ ქალაქის მთავრი-
სათვის: „ღორის ხორცს ნუ აჭმევ ქა-
ლებსაო, მაგათში თათრის ქალებიც
ურევიაო, ჩიენი რჯული ღორის
ხორც ვერ აიტნს-ყეო!“ შექალაქს
მთავარს შეუთვლია-ყე: „მეჩემს ხალხს
რასაც მინდა, იმას ვჭმევ-ყეო! შენ
რა დავა გაქვსო!“ მეძრი, ძიშო, ოს-
მალის ხემწიფს ჯარი გაუგზავნია ყე
იმ ქალაქზედ, და ის ქალაქი დაუ-



ხშირად ამბავი და ჩივილი, რომ ავა-
ზაკობა, ცარცვა-ქურდობა და კაცის-
კვლა ერთობ განხორციელდა. ისე დღე
არ გაივლის და განსაკუთრებით ღა-
მე, რომ ერთი კაცი მაინც არ მო-
კლანო. ღაიარაღებული, ცხენოსანი
თათრები დაიარებიან სოფელ-სოფელ
და იკლებენ ყველას, ვინც გაუმა-
გრებელი და მოუშვადებელი დახე-
დება.

თვითონ თვითისის არე-მარცხ
ისეთი საშიში შეიქნა, რომ საღამო
ქამს კაცი ქალაქს გარეთ გასვლას
ველარ ბედავს.

შეველა ამ გარემოებებს რომ ეხე-
დავთ, ჩვენ გვაკვირვებს — რატომ უფ-
ხდის აღმინისტრაცია ასე გულ-გრი-
ლად უყურებს ამგვარ შემთხვევებს?
რატომ ჩაფრების რიცხვს არ უმატებს?
და საზოგადოთ რატომ ისეთს სახ-
სრებს არ ხმარობენ, რომ ქალაქსა
და სოფლის კაცს დღე მოსვენება
შეძლოს და ღამე ძილი და მუდამ
აუზაყვნის თავზე-დახმას არ მოე-
ლოდნენ?..

ჩვენ მივიღეთ უფ. ქაუშვილისაგან
შემდეგი წერილი.

„უფ. რედაქტორო! მთხოვთ ამ
მცირე შენიშვნას ადგილი მისცით
თქვენ პატრივტულ გაზეთში მით
უფრო, რომ ეს შეხება ქალაქის ში-
ნაგან წესიერებას.

„მას აქეთ, რაც ნათესი ფასმა აი-
წია, ქუჩის ფარებიდან თითქმის ყო-
ველ ღამეათ-თხუთმეტს ღამფას თა-
ვის შუშებითა იპარვენ. ეს უწყისო-
ბა მოხდება ხოლმე უფრო უმეტესად
ქალაქის მეორე განყოფილებაში, ე.
ი. ქუჩაში, ჩუღურეთში და ავლა-
ბარში.

„ეს თუმცა უწინაც მოხდებოდა
ხოლმე, მაგრამ ისე იშვიათად, რომ
სათქმელიც არ იყო. ახლა, რაკი ამ
ქურდობამ ამ ზომამდის მიღწეა,
და ამითმც დიდი ზარალი მტკიცა და
ქალაქის ზოგიერთი ადგილიც, ჩემს უ-
ნებულოთ, გაუნათებელი რჩება, ამი-
ტომ ვაცხადებ ამას საყოველთაოთ,
რომ მივაქციო ამ გარემოებაზედ ვი-
საც ჯერ არს, იმის ყურადღება და
აგრეთვე თავიდან ავიცილო ზოგიერ-
ი უკანონო საყვედური.

„ერთ მიზეზად ასე ხშირად ღამ-
ფასის დაკრებისა, სხვათა შორის,
მე ის გარემოებაც მიმჩნია, რომ
ჩვენი ფარის სვეტები ერთობ დაბ-
ლივია და მოპარვის სიადვილეს ქურ-
დი განსაცდელში შეჰყავს.

„ამ ზემო ნათქვამი უწყისობის მო-
სასპობლათ აუცილებლათ საჭიროა
ქალაქის მხრივაც რამე ღონისძიების
მოღება, ამ გვარი ადგილი გასაქურ-
დი ფარის ბოძების გამოსაცვლელათ.

„ამასთანავე ეთხოვ ყველა სახლის
პატრონს, ვის სახლთანაც ფარანი
დგას, მხედველობაში იქონიოს ეს
გარემოება და, თუ შენიშნოს რაღაც,
ჩემს კანტორაში აცნობოს, რომელიც
იმყოფება მნქის ქუჩაში, იარმუკის
ახლოს საკუთარს სახლში.

„ქალაქის განათების მეჯარადრე
იგორ ქაუშვილი.“

„თვითისის მოამბეში“ დაბეჭდი-
ლია ბქოლამ მიღებული ცნობა, რომ
ამ თვის 2 ს. ბუბერნიის სამართვე-
ლოში ყოფილა სხდომა ექაურ ნათესის
მადნების მ. პატრონებისა, რომელ-
ზედაც ვადაუწყებოდა, რომ მძარ-
თებლობის წინაშე იშუამდგომლონ
რომ ნათესი გადასახადი (აქციზი)
მოიხსოს.

ამ უკანასკნელ დროს ერთობ გა-
ძვირდა ნათესი ჩვენს ქალაქში. მიზე-
ზი ამისა ის არის, რომ ურბები და
ხარ-კამბჩი, რომელნიც ნათესის მო-
ტანაზე იდგნენ და ბქო-თვითისის
შუა დადიოდნენ, მძართებლობის სა-
ჭიროებისათვის არიან გაყვანილი და
ალექსანდროპოლისაკენ მიაქვთ სხვა
და სხვა სამხედრო სურსათი და იარაღი.

ჩვენ ვნახეთ მშვენიერს ყდაში გა-
კეთებული სახარება, რომელიც
ამას წინ თუ. სტ. მელიქიშვილმა
გამოსცა. როგორც გეტყვით, ეს
ყდა ინგლისის ბიბლიურ საზოგადო-
ებას ლონდონში გაუკეთებინებია
(5000 ვგზმპლარი) და აქ ჩაბოტუ-
ნებია. თითო წინა ამ ყდაში გ-
კეთებული ღირს 25 კპიკი, (უყ-
დოთ აბაზი). ჩვენი მარტო ამისთა-
ნა ყდაა ორ აბაზ, ათ შაურ ნაკლებ
არ გააკეთებენ.

მართველობის სპარსეთში

(სპარსეთელი ქართველის ნაშრომი)

იტორია ამბობს, რომ ორა-სა-
მოცი წელიწადი არის, რაც ისინი
გადაუსხლებიათ აქედამ სპარსეთში;
აგრეთვე იმათ ზ პირ გადმოცემა ამ-
ტყივებს, რომ ჩვენ დიდ შჰ-აბაზის
დროსა ვართ გადმოსახლებულნი სა-
ქართველოში.

ამთენი ხნის განმავლობაში ისი-
ნი სპარსეთში სცხოვრობენ და არა-
ვითარი კავშირი და მისელა-მოსელა
საქართველოში იმათ არა აქვთ და
არც ქართველებს იმათში.

ზადასახლებისა-თანავე იმათ მიადე-
ბინეს მაჰმადის სარწმუნოება.

ღიან. მიუღიათ მაჰმადის სარწმუ-
ნოება, მაგრამ ისინი დღე-ღამე ქარ-
თველები არიან: პარველად, ისინი
დღე-ღამე ხმარობენ ქართულ ენა-
და გარე ენა იციან კიდევ სპარსული,
თათრული კი ათასში ერთმა თუ
იცის. თითონ იწოდებიან ქართვე-
ლებად და სპარსელები ეძახიან „ბურ-
ჯის“. ისტორია გვიხატავს ქართვე-
ლის ხასიათს: რომ ქართველი არის
პურადი, გულადი. მხრე, მოძრაი და
„მებრძოლი შევის ბედისა“. მსენი
იმათ არც ერთი არ აკლიათ.

ისინი ცხოვრობენ სპარსეთში
შვიდ სოფლად, და ამ შვიდ სოფ-
ლის მცხოვრებნი, ყოველთვის ერთს
უღელქვეშ არიან ლხინ შიაც და ქირ-
შიაც.

ზარშემო იმათ ახვევია რამდენიმე
გვარი ხალხი: ანატომი, სომეხი,
თურქი, ფარსი, ბახტარი. მსენი ყე-
ლანი ხშირად დაიარებიან ქრთვე-
ლების სოფლებში, ნამეტნად ბახ-
ტარი. ადგილ-მდებარეობისა და
მთებისა გამო აუცილებელი საჭიროა
გზა არის იმათი სოფლები. მართვე-
ლური პურადობის ს. ჩვენებლად, მე
შემიძლიან ის გარემოება მოვიყუ-
ნო, რომ ამ სოფლებში თავისობას
პური არ გაყიდულა აქამომდე: გზავერს
ვჭრს, ყოველთვის სტუმრად მიიღე-

ბენ ხოლმე. ხან-და-ხან დად-ძალს
ხალხს სოფელი საყურადღებოდ
ხოლმე სტუმრად მს დიდ-ძალი ხალ-
ხი მუდამ ბახტარიები არიან ანუ
შჰზადა — ათასში ერთხელ. ბახტა-
რები არიან დაყოფილნი რამდენიმე
გვარად: ჩარლანგი, ჰაჰლანგი, ბოსა-
ქი, მამსაღე, ქუჩურსი; თითო ამათ-
განი შეადგენს ერთ დიდ საზოგადო-
ებას და თითო საზოგადოებას ჰყოფს
ერთი გამოჩენილი ხანი; როდესაც
ერთი ამ ხანთაგანი წავა სადმე, ცხენ-
ზედ რომ შედგამს ფეხს, უკან მის-
დევს უკანა კნელი ხუთასი დაიარა-
ლებული ცხენოსანი, და ყველა ესე-
ნი ეწვევიან ქართველ სოფლებსა.

ამავე ბახტარიებთან იგივე ქარ-
თველები მუდამ ომობენ, მუდამ ბრძო-
ლის ველზედ დგანან, მუდამ თოფ-
იარაღი ხელში უჭირავთ, მუდამ ჯა-
რიანობას მოელოან ხოლმე, მინდო-
ბაში სამუშაოდ როცა მიდიან, ყოველ-
თვის თოფ-იარაღი თან დააქვთ, ყო-
ველ კაცის სახლში ყოველთვის თო-
ფის წამალი გამოუღებელი არის.

მართველებმა თუ თავიანთი თავი
თითონ არ დაიცვეს, სხვა დამფარ-
ველი არაფერია ჰყავთ, რადგანაც მარ-
თებლობას არ ძლ უძს იმ ბახტი-
რებთან შებმა. მაგრამ ქართველები,
არა თუ მარტო თვითთ თავს იცა-
ვენ, არამედ იქ ახლო მახლო სო-
ფლები სულ იმათი შეფარებულები
არიან; თუ არა ქართველები, იქ უ-
რი სომხების და ზოგიერთ სპარსე-
ლების სოფლების სხენებაც არ იქ-
ნებოდა. ბევრჯელ ისეთი დრო მო-
ხდება ხოლმე, რომ ქართველი
დღე-ღამე თოფ-იარაღს ხელს და-
ვლებს და მინდვრად მტრის წინააღ-
მდეგ გადის. ბევრჯელ ისეც მოხდი-
ბა, რომ ის ბახტარიები თვითონ ერთ-
მანერთს თავს დაესხმიან. დამარცხე-
ბულნი გამოიქცევიან და ქრთვე-
ლებს შეფარებიან; ქართველები დ-
მარცხებულებს დაფარავენ და მდე-
ვნელებს უკანა სდევნიან ხოლმე.

საუბედუროდ, თვითონ ქრთვე-

ასე გაუდიოდა ადგილობრივი
გაზ ფხულებდ ნ. სიძ სთან.

თ. თარი. თუ პაზოდობა გაკეთ-
და, მაშინ ნახამ თათარი რა გა-
აკეთებს; სულ წაართმევს, იქურდა,
ბევრი ყაჩაღი წავიდა, მაღაქებში
გაცარცვა, სულ აიკლო... შა, ფა,
ფა! რადენი ფული წაართო ქრის-
ტიანებს...

თუ ში. შინ აგაკლებინებს ქალა-
ქებს, თათარი? მაშ ქალაქებში მარ-
ტო დიაცები მდგარან, კაცები აღარ
ყოფილან!

თ. თარი. მე მივიღე იცის...
შინ დადგება თათრის ზინ? დიდ-
ხელო, მუშლიანი ერბანი თათ-
რების ზინ დადგებიან? მაღალში!
მლა კაჩალოდ, როგორც მზევ არი
თავიანთ ფულებით.

შ. შაველი. მხლანდელს ლაშქ-
რის შეჭურვას ვეღარ ვინ გაუმაგ-
რდების; თვით ვერ მისწდის ნი-
შანსა, ტყვია უფრო შორს წავიდის!
დაშინისა ხლმისა ხმარება უქმია ეხ-
ლა, თუშებო!

თუ ში. მ. საც ეშინის ფუტკრი-
სა, იგი თავის სკაში ვერ მოაქრის.

ჩოლოყის ომშიაც ჰქონდათ მსმა-
ლებს მაგისტანა ზარბაზნები და ტურ-
ციები *), მაგრამ თუშებმა და კა-
ხელობამ ხლმით დაბოლავეს ომი,
ეხლაც ისე იქნება.

მიზიყელი. ჰი! ქაცო! ჩოლო-
ყის ომში შენც იყავით? ჰი! ჰი! ჰი!
ჰა! აბა იქ იყო-ყე ამბავი აი! მრთს
პატარა გორაკზედ-ყე დააყენის თა-
თრებმა რვაოდე ზარბაზნი და იქი-
დან მოგვეცის-ყე ციკლი. ჯერ უ-
ცებ კომლი ავარდის, ცოტა ხანს
უკან ივადე ერთათ გამოვარდი, იმ
წამსვე ყუმბარები ზუზუნ-ზუზუნით
ჩვენ ჯარში ჩამოვარდის; შემდეგ
გასტყვის-ყე და ვისაც მოხვდის,
თან გაიტანის. დიდიდამ მზე ესე
მოვიდის, რომ სულ გამოვარდის
გასტყვის, გამოვარდის გასტყვის
და ვისაც მოხვდის, თან წაიღის ყე.
რომ ძრიელ და ძრიელ შეწყუბდის
ჩვენი ჯარი, სოტნიკმა გეითბრის-ყე:
„ხიზიყლებო! ასე დედაც-სავით
რათ ევხოცებინებთ-ყე ამ ურჯუ-
ლოებათ? წავიდეთ იქაო და წავარ-

*) ტურციებს უწოდებენ ზოგიერთნი
მუტყრის თოფებს.

თვით-ყეო! ჩვენც ამას ველოდით-
ყე, მოველოჯოთ ცხენები და ხიმა-
ლა-ხიმალ შეუტყით-ყე; ავარდით გო-
რახედ, დაეხოცეთ ვინც იყენენ იქ
ოსმალები და წავართვით სუ რვავე
ზარბაზნი-ყე. ის იყო და ის, მას
შემდეგ აღარც გამოვარდის, აღარც
გასტყვის.

თუ ში. ჯერ ომი ხომ არ მოუხ-
დენია რუსებს?

ჯავახი. ჯ. რ არა, ვეყო.


თუ ში. შინ რა იცი?

ჯავახი. იაჰ! როგორ არ ვიცი,
ვეყო. შ. რენის ტბასთან ღუზბორე-
ბის სოფლია, შ. შკას ეძახიან; ამ
ორი კვირის წინად იმ სოფლიდამ
დაიტაცეს სამოცი ცხენი ყ ჩილებმა,
ჩემი შვილი ბლახა ბ. ლახ ძე იქ მე-
ჯოგით არის, ვეყო. იმ დროს მე-
ლიქმა გაძლიარა შ. შკ ში, იქმთელი
ოლქი ღუზბორებისა დაუხვდა მე-
ლიქს პურმარილით და იმათ წინ
მ-უძღვდა ღუზბორების ლუქვრია და
შეჩივლა: „დედუქნითო, გვიშვე-
ლეთ რამეო!“ მელიქმა რომ მოის-
მინა იმათი საჩივარი, ძალიან გაჯა-
რდა და მაშინვე უბრძანა დანბნა:
ეხლავ ბაშპორტები მიეცით ექვს კაც-

საო; წავიდნენ, იპოვნ თავიანთი
ცხენებიო! და თითოთ თავის ხელით
პალიაზს მისწერა, თუ მსმალის ყა-
ჩალებს ცხენები არ დაუბრუნებიათ,
სულ ერთიანთ გაწყვიტაში. იმ ექვს
კაცში ერთი ჩემი შვილი წავიდა მს-
მალში, ცხენები უპოვიათ, მაგრამ
არ ანებებენ ყაჩაღებო, ეუბნებიან:
თქვენ მზევრავები ხართო, ერთის
სიტყვით იქდან არ აძლევინ. ჩემი
შვილმა შეატყობინა მელქა ყო-
ველივე და სთხოვა: ქთხოვთ ჯა-
რები მოგაშველოთო და ჯერ-კი ეო-
თი ორი კვირა ომს ნუ დიწყებინო,
თორემ ცხენებს დალუპუნო და ჩვენც
დაგვოცენო, იქ ება ამ ორს კვირამ-
დე ცხენები ჩ გვბრონო და იმა-
ტომ მელიქმა გაგზავნა ჯარები გრა-
ნიცებზედ; თუ ამ ორს კვირა-
ზედ ცხენები არ ჩაბარეს, მაშინ
უიჭვილად თმი ატყდება. ამითი ეი-
ცი მე, ვეყო, რომ ომი ჯერ არა
ყოფილა.

(ამ დროს დაიქუხა ძალიან და დაიწყო
წვივა, რის მიზეზითაც დაიშალნენ შეკრებილ-
ნი მწყევლები).

თ. ბიორგი მსმელიანი
ს. შვინ-მანთი



ლესა ძალიან ხშირად მოხდისო ჩხუ-
ბი ერთმანერთში. სოფელი სოფელ-
ზედ კი არა; თვით ერთს სოფელში-
ვე შინაურულად მგრამრაც-კი ხელ-
ში მოხვდებოდა, დაარტყამენ ერთმა-
ნერთს, კიტს, სახრეს, ნიჩხს, ქვას;
თუ ვერა მოახერხეს-რა, უკანა კენელად
ქაშებს მაინც გახდიან და იმითა-
სცემენ ერთმანერთს. ტყუილა-უბრა-
ლო გინება და ლანძღვა არ იცინა;
შაგინება და გარტყა ერთი იქნება
ხოლმე. მაგრამ არავის ახარეს, რომ
იმით ერთმანერთის სისხლი დაედვა-
როთ და თოფ-იარაღი ეხმარათ ერ-
თმანერთზედ. ზოგჯერ ისეთი შეტა-
კება მოხდება ხოლმე, რომ მთელი
სოფელი ერთმანერთზედ დაიწვეს. მა-
შინ, როდესაც ჩხუბი ზევით უბან
და ქვევით უბანად გადაიქცევა. ამ
დროს დამამშვიდებელი ანუ გამშვე-
ლებელი არაფერ ჰყავთ გარდა დედა-
კაცებისა. მართლა რომ კიდევ გა-
მოვლენ იმ დროს დედა-კაცები, ჩა-
დგებიან შუაში, მოიხდიან თავს და
ათასის ხეწწნა-მუდართით დაამშვიდე-
ბენ ხოლმე. ჩხუბის შემდეგ, მშვი-
დობიანობა ჩამოვარდება; რომელიმე
უფროსი დედა-კაცი გამართავს სტუ-
მრობას და მოიპატიჟებს ორსავე მო-
ჩხუბარ მხარეს. რაკი ერთად შაიყრე-
ბიან და პურობა გაიმართება, შარი-
გდებიან და როგორც უწინ იყვნენ,
ძპურად, ეთარცა ერთი მამის შვილ-
ნი ღარჩებიან.

სპარსეთელ ქართველებმა არ იცი-
ან „ბატონი და ქალბატონი.“ შეე-
ლა ერთმანერთს შინაურულ სახე-
ლებს ეძახიან; უფროსის სახელი არის
ამია და ბიძა, უფროს ძმისა დადაშია,
უმცროსისა ძამა და შვილო. რო-
გორც არ იხსენება ბატონი, აგრე-
თვე არ იხსენება ბიჭო, ყველას მხო-
ლოდ კუთვნილ სახელს ეძახიან, რა-
დგან ყველა თანასწორად სთელიან
ერთმანერთსა.

ასეთი ერთმანერთთან დამოკიდე-
ბულება ჰქონიათ უწინაც ქართვე-
ლებსა, თავიანთ მეფეების დროს; მა-
გრამ შემდეგ დროთა ეთარებად ეს
ჩინებული ხასიათი, უბრალო დამო-
კიდებულება ერთმანერთთან, შეს-
ცვალა.

წერილი რედაქტორთან

იმ პატარა შენიშვნის თაობაზე,
რომელიც ჩვენი გაზეთის მე-110
ნომრის ნარევი იყო დაბეჭდილი,
ჩვენ მოგვივიდა სოფ. ხარაგაული-
დამ (ზემო-იქვერეთი) შემდეგი წე-
რილი:

„დროშის“ მე-110 №-ში, სხვათა
შორის, „ნარევი“ წავიკითხე შენი-
შვნა ერთის ხანში შესრული ქერივი
მღვდლის შესახებ. ნება მომეცით,
უფ. რედაქტორო, რომ ამ შენიშ-
ვნის თაობაზედ ვსთქვა რამოდენიმე
სიტყვა აღსადგინებლათ სიმაართისა.

საქმე აი როგორ იყო: იმ გლეხს,
რომელთანაც ვითომ მღვდელი სხვა-
ნაირი განზრახვით მისულა, ჰყავს
ორი რძალი, რომლებსაც კეთილი
ცხოვრება და სიამოვნება უყვარსთ.
ამათ მებატონეთ ჰყავსთ ერთი აქა-
ური აზნაურ-შვილის აპყუნნი, რომ-
ელიმაც თურმე ხშირი მსვლელობა

დაიჭირა ქალებთან, გარეშე თავის
აქცევისა.

„ზაგო“ თუ არა ეს იმ მღვდელმ.,
აზნაურს მოცუქული ძიუგზავია ისევე
ერთი მღვდელთაგანი, რომ მათ იმ
ქალებთან სიარული მოესპო მრუშო-
ბით; ამით მღვდელს სურდა მოსპო
გარყენ ღობა ქალებისათვის სამრე-
ვლოში.

„ეს მოცუქულის მიგზავნა ამ აზ-
ნაურ-შვილს ძლიან არ ეჭაწიკა და
განძირაბა გულში მღვდლის პატი-
ვისცემა ამისთანა საქმის გამოაშკა-
რების გულისათვის.

„მართი დროისათვის შეამზადა ის
გლეხები, რადგანაც მთ თავის მება-
ტონისათვის უარის-თქმა არ შეე-
ძლოთ: მებატონემ ჩაგონა გლეხებს,
რომ მღვდელი თქვენ ამ საქმეს გი-
შვრებათ და ესა და-ეს საქმე უნდა
მოუხერხოთ.

„მართლიც, 4 ლენობ. მღვდელს
გლეხ ღვან მოცუქული მოუვიდა, რომ
აფათმყოფი გეყ ეს და გეიზი-რყო. ის
მაშინვე წავიდა. შევედა თუ არა
სახლში, გლეხებმა ხელი ტაცეს და
დაუწყეს შეკერა თოკით. მღვდელმა
თურმე ბევრი ღლილა: „კეთილ-
შობილი ვარ, მერე მოძღვარი, ბე-
დენიკი მაქვს და როგორ მიჭერამთო!“
მაგრამ ეს ღირსებაები გლეხებმა
პატივ-დებამი არ მიიღეს და ლაზა-
თიანთ შიკოქს.

„ეს ყოფილიყო ნაშუადღევს ხუთ
საათზედ, როგორც ქალების ჩვენ-
ბიდან სჩანს გამოძებნაში, და არა
ათს საათზე ნაშუადღევსა, როგორც
„დროშის“ მე-110 №-ის ნარევი
სწერია.

„შეკოქს თუ არა მღვდელი,
გლეხმა იმ წამსვე ადგილობრივ ბლა-
ლოჩნს მიმართა, რომ მისთვის ეჩ-
ვენებინა მღვდლის იგეთი მოქცე-
ბა. ბლალოჩინი ჩაჰოც და ათ საათზე
სალამოს, ნახა მღვდლის მდგომარე-
ობა და ააშვებინა ხალხს.

„აქედან ცხადათ სჩანს, რომ
მღვდელი დილაშდის იქ არ ყოფილა
დაჭრილი და არ წაუყვანიათ ისე
შეკრული, სადაცა ჯერ იყო. რო-
გორც გამოძიებში ჩვენეს ქალებმა,
იმ კუთხიდან, საიდანაც მღვდელი
მისულა, იმ გლეხის ეზოს სრულე-
ბით ღობე არა აქვს; თუცა არის
ღობე ევნახის ბოლოში, მაგრამ იქა-
დგან არამც თუ კენჭს აუწევს კაცი,
არამედ თოფიდან გამოვარდნილი
ტყვიაც ვერ აუწევს იმ გლეხის
ეზოშდის.

„იმ შენიშვნის დამწერის აზრით,
თავიდან დაწყებული თითქმის ბო-
ლოშდის მღვდელი დამნაშავე გამო-
დის და დასასრულს ამბობს: „ამ ნა-
ირად საღვდლო პირის გაუპატიუ-
რება, მე გონი სამაგალითოთ უნ-
და მოეკითხოს იმ გლეხებსაო.“ მთ
მღვდელი დამნაშავეა, გლეხებს რა-
ღა უნდა მოეკ თხოვ? მაგრამ მისი
სიტყვით გლეხები სრულებით არ
გამოდიან დამნაშავენი!

„ამ საქმის თაობაზედ გამომეძი-
ებლათ იყო დანიშნული მღვდ. ბ.
დკანოიძე, რომელმაც იხმარა ფერ-
გული საშუალებები სიმაართის
აღმოჩენისა. გამოძიებამ ჯარ-ჯირო-
ბით მღვდლის სიმაართე აღწა;
ამსთ ნავე გამოძიების გათავების
დროს, გლეხებმა შეიტანეს ქალო-
დი გამომეძიებელთან შეძღვი ში-
ნარისა: ეს საქმე ჩვენ მოვმოქმე-
დეთ სხვისი შეგონებით და არა ჩვე-
ნი ნაშედილი განზრახვით; გთხოვთ
ამ საქმეში, თუმცა ბრალდებულნი
ვართ, მაგრამ იმოდენი გე შუამდ-
გომლიე მისს ქოვლად უსამღვდე-

ლობას იჭერეთ-ს ეპისკოპოსთანო,
რომ ეს საქმე გევატოო.

„იჭერეთის ყოველ-დამღვდელს
ბაძიებით, მღვდელს ჩველის ნება
მიეცა თავის გაუპატიურებისათვის
და მღვდელმა სჩივარი შეიტან-
გლეხებზე შორაპნის მომრგებელ
მჯუღთან. მანხილვა ამ სჩივრისა
იქნება 4 ნოემბერს, და რაიცა მო-
ხდება ამ საქმის თაობაზე ყოველი-
ფერს დაწერილებით გაცნობებთ.“

იოსებ მანელი

რუსეთი

რუსეთს სამხედრო ოფიციალურ
გაზეთში („რუსის ინელიდში“) დ-
ბიტილია შაჰლოესი ბრძანება, რომ-
ლის ძალითაც ხარკოვის, ოდესისა
და პოლის სამხედრო მახრებიდამ შეს-
დგება ექვსი არმიის კორპუსი. მთა-
ვარ სარდლათ ინაშენება მისი შაჰ-
ლოესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ
ნიკოლოზის ძე უფროსი, შტაბის
უფროსად — ნიკოლოზიცი, პოტი-
ლო რიის უფროსად — თ. მ. სალსკი,
ინჟინერების — დეპი; კორპუსის კა-
მანდირები: მეშვიდესი — ბარკლა-დე-
ტალი-ვიმარი, მერვისა — რადეკი,
მეცხრისა — ბარონ პოლენერი, მთა-
თსა — თ. მორონცოვი, მეთერთმე-
ტისა — თ. შახანსკოვი, მეთორმეტისა —
მა ჩეცკი.

ამ თვის 2-ს გათავდა მოსკოვში
ესრედ-წოდებული სტრუ ბერლის სა-
ქმე, რომელმაც გეაჩვენა — თუ რამ-
დენი უწყსობა ხდება ხოლმე რუ-
სეთის ბანკებში და რომელმაც მთე-
ლი რუეთის ყურადღება მიიქცია.
მთითონ სტრუბურდ, რომელმაც
მოსკოვის ბანკადამ მოტყუებით შეი-
დი მლიონი გაიტნა, სამართალმა
სამზღვარ გარეთ გაგზავნა გადუწ-
ვეტი; ამავე ბანკის ორს დირექტორს
ლიანდაუა და პოლიანსკის ღირსების
ჩამოხდა და ტომსკის გუბერნიში
გაგზავნა, ზედ მხედველ კომიტეტის
წევრთ — ბარისოვსკის გადაუტრეს
ოლონეცკის გუბერნიში გაგზავნა
და შუამხერს, ადრინდელ მოსკოვის
ქალაქის თავს, ცხეში ჩამწყვდე-
ეთის თვის ვადით.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. სტამბოლის კონჭე-
რენციის თაობაზე ამ დღეებში მო-
ვიდა აქ ამბავი, რომ ო. მალღოს
მთავრობას ჯერ არ გამოუცხადებია,
რომ ის ამ კონჭერენციის ყველა
გადაწყვეტილებებზედ უშეცვლად და-
თანხმდება.

რღა თქმა უნდა, რომ მართა
ო. მალღო ასე მხნეთა და თამამად
ვერ იმოქმედებს, ვერ ილაპარაკებს,
თუ იმას მომხრეების ანუ მუხრის
მანცა იმედი არა ჰქონდეს, რომე-
ლიც გაჭირების დროს დაეხმარება
ბრძოლაში. და ეს მომხრე, როგორც
ქვემო-მოყვანილი ცნობიდანაც დაი-
ნახავთ, უეჭვლია, ი. გლისი იქნება
და ვინ იცის იქნება კიდევ სხვა რო-
მელიმე სახელმწიფოც.

— ნიშნულს გაზეთებში იწვევს
ბიან, რომ რუსეთი, სხვათა შორის,
მეძღვე პირობებს თხოვლობს მო-
ლიგებისთვისაო: ბოსნიის, ბოლგარი-
სა და მერცხოგოვინის მაჰმადიან მცხო-
ვრებლებს თოფ-იარაღი უნდა ჩამო-
ერთვას; ამ ქვეყნების პოლიციაში
ცვლილება უნდა მოხდეს, ქრისტიან-
ები პოლიციის ჩინოვნიკებად უნდა
ძრებოდნენ. ოსმალთს ჯარი უნდა
გაიყვანონ, და ლუბერნატორებად
ქრისტიანები დაიწყოთ უნდა იქმნენ.

ინგლისი. ამ თვის 3-ს ინგლისის
მმართველობას განკრფულობა მოუ-
ხდენია, რომ დიდ-ძალი ჯარი საო-
მოდ დაამზადოს; ბევრი პოლკები ახ-
ლაც მზათ არიანო, რომ აღმოსა-
ვლეთისაკენ გაემგზავრონ, ენრიცობა
ოამი მოხდესო.

**ბრძანება კავკასიის
ოტდელის კორპუსისადმი *)**

მრეწვის ცხესა შინა
ოქტომბერს 6 დღესა, 1827 წლსა. № 99.

მხნეთა საქართველოს
თავადნო და აზნაურნო!

სამხ. დრონი შრომანი თქვენნი
დასრულდნენ: თქვენ გისტუმრებ აწ
თქვენს მშობელს ქვეყანაში სრულის
ჩემის მადლობითა და ჩინებულის სა-
ხილითა მხნედ თანამშრომთა ძლიერ-
მოსილის რუსეთის მხედრობისა სპა-
რსეთის კანაანისა შინა 1827 წელსა,
მთავრობასა ქვეშე ჩ მსა. თქვენ თა-
ვი თვისი წარჩინეთ, და მეც ვარ
მოწამე ღუაწლთა თქვენთა.

პხოდში ტფლისიდან ნახივენამ-
დის და მის შემდგომცა თქვენ შესა-
ძლიოთ შრომანი მძიმენი თვით ცხა-
რეს დროსა აქაურის ზაფხულისასა.
იქლის მესუთესა რიცხესა 36 ვან-
ბულოზედ ომში ორგზის შეიმაგრეთ
შეძოტეული თქვენზედ რჩეული ქუ-
რთების ცხენოსანი დაროდესაც მტე-
რი იქნა უკუშეიქცეულ, ცხარედ სდიეთ
მას.

შრობათის ექსპედიციაში დაუეი-
წყებლად განახლებეთ თქვენ თავი
თვისი, ოდეს ბლუჯი ცოტა ოდენთა
ჩვენთა მხნეთა წინაღუდგებოდა მრავ-
ალ რიცხეიდთა მტრის რაჰთა და
გაბრუნდნენ ისინი, რა ნ. ხეს შეუ-
ძლიებლად ძლიერა ყოველთა მათ, რომ-
მელნიცა დამარცხებია და მონებასა
ზედა უფროსლა არ ჩივენ სიკედინსა.

სექტემბრის მიცხრამიტესა რიცხე-
სა სარდარბათის დამორჩილების შეძ-
ღვამ, იმ დამეს, ოდეს გაონიზონი
და სუო-მოკლე მი ი მთავარი თქ-
რობდნენ ბნელს ღამით სარგებ-
ლობასა, რათამცა მორჩილიყენ
კელთაგან გამმარჯვებლთა, თქვენ
სხვას რუეთის ცხენოსანთან მოსწ-
ვდით, ჰჩიხეთ და ტყვედ იპყართ
გაქცეულნი. შეკანსენლად ჟამსა
ჩ ნებულის მრეწვის შეძოზლუდესა-
სა თქვენ იყავით ჩ მგაწ წარგზენილ
გზების მესაქრავად, სადაცა მტერს
შეეძლო მეორედ თავის შეფარება
გაქცევით.

და ოკტომბრის პირველსა ამავე
ციხის დაპყრობის დროს თქვენ პ რ-
ველთაგანნი შეეცინით მას შინა,

*) ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ერთი და-
ბეჭდილი ვგზავლიარა ამ „ბრძანებას“;
საინტერესოთ ვნახეთ და აქვე გაზეთში ვბე-
ჭდეთ. რედ.

როდესაც ჯერჯერ არა სრულიად მომწიფდარი იყო სროლა.

მკოდნე ვიქმენები მე დამოწმებისა წინაშე დიდის პლემფისა, თქვენის სამსახურისათვის ევლისა ზედა პატივისა და ამა ჩემის ბრძანებითა მნიშვნავს აღნიშნო სახელნი თქვენნი და ცხადყო ჩემი თქვენდამი პატივის ცემა წინაშე ყოველთა შემამულეთა თქვენთა, ღირსო ს. ქართულოს თავადნო და აზნ. ურნო, რომელნიცა ჩემს მთავრობასა ქვეშე ხართ წამსახურნი:

გორის უფლის თავადნი:

პოდპოლკოვნიკი მიხაილ მაჩაბელი, მაიორი თორნიკე შირთაი, ზაქარია ციციანოვი, თიმიურაზ აბილახაიოვი, მესტატე თარხანოვი;

ტფილისის უფლის თავადნი:

პაპიტანი ბიორგი ბარათოვი, ოტსტავნოი პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე მრბელიანოვი, მაიკასრო მრბელიანოვი, იაკობ მრბელიანოვი, ივანე მელიქოვი. სათავადო აზნაურნი: ზურაბ ხმალიძე, მაიხოსრო შერცელაძე;

ღუშეთის უფლის თავადნი:

ლუბერსკის სეკრეტარი დეით მანის შირთოვი, როსტომ მანის შირთოვი,

იმერეთის თავადი პოდპოლკოვნიკი როსტომ რაჭის შირთაი და აზნაური ძაცია ბაქრაძე;

თილავის უფლის თავადნი:

მოსტავნოი პოდპოლკოვნიკი ივანე შირთაი, ინდო, ისე და ათანაძე მაყაენი, დეით, ნუშვიანი, სოლომონ და ალექსანდრე შვეტაძენი, ზაალ მხეხიოვი, დიმიტრი მობულაოვი, ივანე რუსიევი;

სიღნაღის უფლის თავადნი:

პარუთიკი ზურაბ და იოსებ მნდრონიკოვი, მან მჩნაძე, მაიხოსრო ბარსევანის ძე მჩნაძე, მაიხოსრო ზაქარიაძის ძე მჩნაძე, იოსებ, ნიკოლოზ და ბესარიონ მჩნაძენი;

ბორჩალოს დისტანციის აღმწერი ფაშა ალა-მელიძე-ოღლი.

ამა შემთხვევასა შინა უსამოვნეს ჩემად მოვალეობად შევრაცხე გონუცხად საკუთარი მადლობა ჩემი საქართველოს ცხენოსნის ჯარის მთავარს უფლის ღვთისმშობლის თავადს ბაგრატიონს დაუძინებელის მზრუნველობისათვის ამ ჯარის კეთილდ. წყობილებისა და დაცვისათვის ყოველთავე შემთხვევათა შინა ჯეროვანის რიგისა.

წამდელსა ზედა კელი მოუწერეს ინჟანტერიის ღვთისმშობლის, ღვთისმშობლის პასკევიჩს.

განცხადება

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო განკის მმართველობა

შმაღლოსად დამტკიცებული წესდების § 16 აცხადებს, რომ ამ წლის 29 ნოემბერს (გიორგობის თვეს), 12 საათიდან ვიდრე ორს საათამდე დღისით, ქალაქს თფილისში თვით განკის გამგეობაში მოხდება საყოველთაო გასყიდვა გიორგობის დღისით ნატალია ივანეს ასულის ზამინანსის უძრავი მამულისა, რადგან მას ამ წლის მეორე ნახევრის ხვედრი გარდასახადი განკის წესდების § 29 და 30 თანახმად, ჯერაც არ შემოუტანია.

ეს მამული მდებარეობს ქ. თფილისში, მეორე განყოფილებაში, 10 უჩასტკაში, ნემენცების კალონიაში სადგომის ქუჩაზე და შეიცავს ერთს ეტყა ქე თვირის სახლს, თავის ეზოთი, რომლის სიგრძე ხუთასს თვრამეტი (518) ოთხ კუთხი (კვადრატული) საფუძია.

აღნიშნული მამული გასყიდვა ფრცხლათ ერთიანად და ეჭრობა დაიწყება თანახმად წესდების § 19 ვალის იმ რიცხვად, რომელიც მზიდ ამ ქამათ ირიცხება, ე. ი. 5,636 მან. და 92 კაპ, რომელშიაც ირიცხება: ეალი განკისა, რომელიც სესხისაგან კიდევ დარჩენილია, მამულის გასყიდვის თაობაზე განცხადებების ხარჯი, ცეცხლისაგან საზღვევო საზოგადოების ფული და ჯარიმა ვადაზე ფულის შემოუტანლობისა გამო.

განკის გამგეობას აქვე 3 ტივი აქვს დაურთოს, რომ თვით ნომინალური ეალი, რომელიც ამ მამულზე ირიცხება და 5317 მან. და 79 კაპ. შეიცავს; შეიძლება მოვალეობა გარდაიხადოს ამავე განკისგან ფურცლიების შემოტანით მანეთით მანეთზე მათ ნომინალურ ღირსებობაზე; აგრეთვე შეიძლება ეს ეალი გარდაიხადოს ამავე განკისგან თანხმობით მყიდველზე, რომელიც კ ევალდებულათ ხდის თავის თავს პასუხი აგოს ნაღდის ფულით ყველა იმ ეალიზე, რომელნიც ნომინალურ ეალის გარდა აღნიშნულ მამულზე ირიცხებიან.

თუმცა ეს მამული ამ წლის 29 ნოემბერს არ გასყიდეს, მაშნ იმავე განკის წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვადა გასყიდვის ამ წლის 29 დეკემბერს (ქრისტეშობის თვეს).

(3-3)

ნიმალაოზ დიმიტრის ძე

ყიფიანი

ამ ქამად ქ. ქუთაისში დაბინავებული, მიიღებს თფილისის სამოსამართლო პალატისა და ქუთაისის მოსამართლო მოწოდების ძალით და აწარმოებს სამოქალაქოსა, სისხლის სამართლის და სამიჯნეო საქმეებსა როგორათაც ხენებულის სამამართლოებში, აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან ქუთაისის გუბერნიისა, როსთვისა თანახმა არის თფილისში და ქუთაისის გუბერნიის უფლებში მისვლა-მოვლასად საქმეების დასაცეველად.

აგრეთვე მიიღებს მსვლელობას ქუთაისის საადგილ მამულო განკის მამულების დასაგირავებლად.

მიიღებს მოდევნებს დღით 11 საათამდინ, საღამოზე 5 საათიდან 8 საათამდინ.

ქ. ქუთაისის, თფილისის ქუჩაზე, ქუთოშვილის სახლებში, პოვგომიზიის პირ-და-პირ. (5-3)

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში, მარტო ბიჭქუროვის წიგნის მაღაზიაში, პრიკაზის პიოლაზ რ,

არაკნი

კრილოვისა

ნათარგმნი რუსულიდან

თ. მიხეილ ა. ბეგუთოვისაგან უსი მარი აბაზი

თ. მხეილ ბეგუთოვს უთარგმნია აგრეთვე და ამზდებს გამოცემისთვის ბერანტეს ლექსებს და აგრეთვე ქოილოვის დანარჩენს ზღაპრებსაც. (3-2)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

ბუნების კარი ი. ბოგებაშვილისა, მესამე შეესებულა გამოცემა, ურათებით და ს ქართილოს კარტით ბიჭქუროვის გამოცემა და იყება სოლომონ მართანოვის წიგნების მაღაზიაში. წიგნი წინეთ გამოცემებზედ მეტია ექვსი ბიჭქუროვის თანხით და ღირს თხუთმეტი ზურ. 3 ვრამ ეგზემპლიარი დაეთმობა: თოთხმეტ ზურათ, ვინც ერთად ნაღდულზედ იყიდის თხუთმეტი ეგზემპლიარსა, — ცამეტ ზურათ, ვინც იყიდის ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ, ვინც წაიღებს ას ეგზემპლიარსა.

აქვე ისყიდება დედა მნა, მისგანვე შედგენილი, ექვს ზურათა ქა წიგნი დათმობა ხუთ ზურათ სასწავლებლებს. როცა ერთად ნაღდულზედ იყიდის ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და კერძო პირებს, როცა ერთად წაღებენ ას ეგზემპლიარსა.

მისაც სურს ან ერთი, ან მეორე წიგნი ყაში გადაკრული მიიღოს უნდა ეგზემპლიარის ფასს დაუმატოს სამი ზურაი.

კ. (5-3)

რ. გზა.	დღი.	საღ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გაგები	ფოტო	ბირჟა	მაზანდა
თფილისი	936	454			ა) შოთიდან მიღის:	ა) თფილისიდან:	პეტერბურგი, 2 ნოემბ.	თფილისი, 5 ნოემბ.
მცხეთა			68	38	მდისიკენ — შაბათს დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	პოთი მაქეთი ღირს:	პური შორავლის ფო.
ბორი	1221	841	240	123	სტამბოლს — კვირაობით, დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.	ქერი ფუთი.
ხაშური	2	1110	392	218	ბ) მდისიდან:	თბიშ., მზურგეთს — პარსკ და	პარიკში 3 17 1/2 სანტიმი.	ბაშა ქოვინისა, ფუთი.
ბეკათუბანი			442	246	შოთისკენ — ორშაბ. ნას.დ. 3 საათ.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და	მსკოტი(სარგებლობისის)	— ამერიკისა, ფუთი.
შვირილა			581	323	სტამბოლს — ორშაბ. ბათს, შუ.დღეზე	შაბ. ქაბეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	ბაშატილი ბაშა ფო.
ქუთაისი	823		675	375	შოთიდან:	ბ) ქუთაისიდან:	მოგებიანი(პირველისისი)	მატალი თუშური ფო.
სამტრედია			773	429	1	თფილისისა და შოთისაკენ — ყო	მოგებიანი (მეორე სესხი)	— თარაქამისა ფო.
ა. სენაკი			857	476	4	ველ დღე, კვირას გარდა. (მზურგ	ბიროს ფურცლები:	პარკუში ნუშური გრ.
შოთი	1144		975	542	20	გეთს — ორშ. და პარსკ. ზუგდინდს	თფილ. საზნ. განკისა.	ქონი, ფუთი.
შოთი	840				34	— ორშაბ.	ხერსონის განკის (5 1/2)	ქონის სათელი ფუთი.
ა. სენაკი			118	66	38	გ) გორიდან:	მოსკოვის (5%)	სტავრონის სათელი, ფ.
სამტრედია			261	114		ქოველგან ყოველ დღე, კვირას		ხორცი ძროხისა. დღე.
ქუთაისი	1151		341	61	ტელეგრაფი	გარდა.	აქციები:	— ცუვისა, დღე.
ქარილა			398	21	მ. სიტყვა თფილისიდან:	დ) შოთიდან:	მდისი საყაპრო განკის	სპირტი, ვედრო.
ბეკათუბანი		ლაპე	533	296	ქუთაისს, შოთს	ქოველგან ყოველ დღე, კვი	შოთი-თფილ. რკინ. გზის	შაქარი, ბოც. ფუთი.
ხაშური	541	1	65	84	გორს, ღუშეთს, სიღნაბს	რას გარდა.	შავილდის ცეცხ. გემების	— ფხვნილი ფუთი.
ბორი	723	3	67	36	პეტერბურგს, პარსკას	წიგნის გაგზავნა რუსეთში	პაგაზის და მერკულის.	შავი გრვალის ფუთი.
მცხეთა			98	5	მსხალეთში, შვეიცარიაში	და სამზღვარ გარეთ:	პარკ. საზღვევ. საზოგ.	ზეთი ქუთუთისა ფო.
თფილისი	1016	724	975	542	იტალიაში და საფრანგეთში	ლო წიგნის	პეტერბ. საზღვევ. საზ.	მქოლ 1/2 იმპერიალი.
					ინგლისში.	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	მოსკოვის საზღვევ. საზ.	